

შპს აკვაჰიდრო

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ინფორმაცია საზოგადოების შესახებ
2. მომზადების საფუძველი
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები
5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
6. ფინანსური ხარჯი
7. ძირითადი საშუალებები
8. ფული და ფულის ექვივალენტები
9. გრძელვადიანი სესხები
10. მოკლევადიანი სესხები
11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

თანხები წარმოდგენილია ლარში

31 დეკემბერი 2021წ.

	შენიშვნა	არააუდიტირებული
შემოსავალი		3 615 330
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	5	2 487 315
დასაქმებულთა ანაზღაურება		501 751
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი		630 405
ფინანსური ხარჯი	6	3 648 784
იჯარის ხარჯი		70 655
საოპერაციო მოგება/ზარალი		- 3 723 580
არასაოპერაციო შემოსავალი		2 558 051
<u>მოგება/ზარალი დაბეგვრამდე</u>		- 1,165,529
მოგების გადასახადი		621
<u>წმინდა მოგება/ზარალი</u>		- 1,166,150

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით
2022 წლის 22 სექტემბერს:



დავითი კობერიძე,

დირექტორი

(ხელმოწერილია)

		31 დეკემბერი, 2021	31 დეკემბერი, 2020
შენიშვნა	არააუდიტირებული	არააუდიტირებული	
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები		21,125,517	13,807,108
დაუმთავრებელი მშენებლობა	7	26,361,267	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>47,486,784</u>	<u>13,807,108</u>
მიმდინარე აქტივები:			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	17,492	2,577,398
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		313,115	35,024,635
საგადასახადო აქტივი		229,459	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები		3,423,584	-
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		224,640	-
სხვა მიმდინარე აქტივები		19,955	23,621
სულ მიმდინარე აქტივები		<u>4,228,245</u>	<u>37,625,654</u>
სულ აქტივები		<u>51,715,029</u>	<u>51,432,762</u>
კაპიტალი და ვალდებულებები:			
საწესდებო კაპიტალი		12,411,065	11,613,145
გაუნაწილებელი ზარალი		15,674,175	11,970,690
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>3,263,110</u>	<u>357,545</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	9	51,233,517	49,558,575
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>51,233,517</u>	<u>49,558,575</u>
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	11	663,127	1,081,529
ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	2,728,080	-
გადასახდელი პროცენტები		353,415	-
სხვა ვალდებულებები		-	1,150,203
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>3,744,622</u>	<u>2,231,732</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>51,715,029</u>	<u>51,432,762</u>

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ კაპიტალი
(არააუდიტირებული)			
31 დეკემბერი 2020	11,613,145	11,970,690	357,545
2021 წლის ზარალის ზრდა	-	1,166,150	1,166,150
სხვა ცვლილებები კაპიტალში	797,920	2,537,335	1,739,415
ბალანსი	<u>12,411,065</u>	<u>15,674,175</u>	<u>3,263,110</u>

1. ინფორმაცია საზოგადოების შესახებ

აკვაპიდრო (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2014 წლის ნოემბერში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 443860252

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა და ექსპლუატაცია.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელი იყო შპს აკვაენერჯი 80% და შპს სქაი ვოთერს 20%.

კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში საშუალოდ დასაქმებული იყო 22 თანამშრომელი.

2. მომზადების საფუძველი

სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როგორც მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (IFRS SME) პირველადი გამოყენების მოთხოვნების გათვალისწინებით ნაწილი 35 „მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობამ გამოიყენა მოსალოდნელი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, ფაქტები და გარემოებები და საბუღალტრო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში, როდესაც მომზადდება პირველი სრულფასოვანი ფინანსური ანგარიშგება IFRS SME -ს შესაბამისად.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021

წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2021 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სპეციალური დანიშნულების სრული შემოსავლის ანგარიშგებას და სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

აღნიშნული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას საზოგადოებამ გამოიყენა მხოლოდ სავალდებულო გამონაკლისები.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS SME-ს შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ინდივიდუალური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2021 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **აქტივის შესაქმნელად საჭირო სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები.** ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

- **აღიარება და შეფასება.** ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.
- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.
- არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება სწრაფი და სასარგებლო მომსახურების ვადის გასვლის შემდეგ.

მარაგები. საზოგადოების მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ

მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. საზოგადოება ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს

მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით ფინანსური წლის დასაწყისში. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშო პერიოდში
- გამოიყენება ძირითადად სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის ვადაში გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. საანგარიშგებო თარიღებისთვის არ იდენტიფიცირებულა გაუფასურების ნიშნების მქონე სავაჭრო მოთხოვნები ან სხვა ფინანსური აქტივები.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფი დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

აღწერა

31 დეკემბერი 2021წ.

არაეკონომიკური ხარჯები	4,696
საიჯარო ქირა	5,050
აღნაგობის გადასახადი	63,927
საწვავის ხარჯი	32,139
სამეურნეო ხარჯები	3,064
საოფისე ინვენტარი	79
ინვენტარი 1000 ლარზე ქვემოთ	2,876
კომუნიკაციის ხარჯები	1,600
ელექტროენერგიის ხარჯი	13,311
რეგულირების საფასური	7,290
დაზღვევა	139,908
დაცვა	14,721
ძირითადი საშუალების რემონტი	91,547
ჰიდროელექტროსადგურების საექსპ. ხარჯი	13,977
საკონსულტაციო მომსახურება	117,887
საბუღალტრო და მენეჯმენტ მომსახურება	305,085
აუდიტის ხარჯი	238,612
ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	457,627
ნაპირსამაგრი სამუშაოები	700
გზების რეაბილიტაცია	9,825
ქონების გადასახადი მიწაზე	39,287
ქონების გადასახადი გარდა მიწისა	547,657
საბაჟო მოსაკრებელი	400
კომპანიის საპენსიო შენატანი	12,186
ბანკის საკომისიო(სესხის გაცემის საკომისიოს ჩათ.)	300,422
სხვა საერთო ხარჯი	63,442
სულ	<u>2,487,315</u>

6. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი წარმოადგენს სესხის სარგებლობასთან დაკავშირებულ საპროცენტო ხარჯს.

7. ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები და ნაგებობები	სხვა ძირითადი საშუალებები	საერთო	ჯამი
თვითღირებულება ნაშთი 31/12/2020	16,131,995	16,239,300	5,263,392	82,839	37,717,526
შესყიდვები	10,229,271	36,780	-	133,611	10,399,662
ცვეთა	-	410,488	212,662	7,254	630,404
ნაშთი 31/12/2021	26,361,266	15,865,592	5,050,730	209,196	47,486,784

8. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2021წ.	31 დეკემბერი 2020წ.
ფული ბანკში	17,492	2,577,398
ჯამი	17,492	2,577,398

9. გრძელვადიანი სესხები

სესხები მიღებულია TBC და EBRD საფინანსო ინსტიტუტებიდან და 2021 წლის ჯამური ნაშთი შეადგენს 51 233 517 ლარს, პროცენტი მიიღებულია LIBOR განაკვეთზე (6%+ LIBOR)

10. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს დედა კომპანიისგან, შპს აკვაენერჯისგან მიღებული სესხების ერთობლიობას, ყველა სესხი მოქმედებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საბაზრო სპროცენტო განაკვეთი, 2021 წლის 31 დეკემბრის ნაშთი შეადგენს 2,828,080 ლარს.

11. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოადგენს მომწოდებლების წინაშე არსებულ ვალდებულებას.